საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

N 12188/01
10/12/2019

12188-01-2-201912101739

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ გიორგი გახარიას

ბატონო გიორგი,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 მარტის #2-164 ბრძანების საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემასა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ჩინჩილაკაშვილი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ელექტრონული ფორმით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წარმოდგენა უზრუნველყოფილია სამინისტროს ელექტრონული პორტალის მეშვეობით (http://mepa.gov.ge/Ge/SubscribePublicInfo), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის შესაბამისად, სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით მომართა 234 განმცხადებელმა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეუნრეობის სამინსიტროში შემოსული 234 განცხადებიდან :

- 81 შემთხვევაში, დაინტერესებული პირი იყო ფიზიკური პირი;

- 139 შემთხვევაში დაინტერესებული პირი იყო იურიდიული პირი, მათ შორის : 8 შემთხვევაში სამეწარმეო იურიდიული პირი, 101 შემთხვევაში-არასამეწარმეო იურიდიული პირი, ხოლო 30 შემთხვევაში - სხვადასხვა მედია საშუალება;
- 12 შემთხვევაში განცხადება შემოვიდა სახელმწიფო უწყებებიდან;
- 2 შემთხვევაში, განცხადება შემოვიდა პოლიტიკური პარტიიდან.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, რეაგირება განხორციელდა ყველა განცხადებაზე. კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სრულად დაკმაყოფილდა 208 განცხადება. ინფორმაცია ნაწილობრივ გაიცა 5 განცხადებაზე, ხოლო დასაბუთებული უარი მიიღო 2 განმცხადებელმა. 7 განცხადება კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად გადაეგზავნა შესაბამის უწყებას. 1 შემთხვევაში განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება იყო ბუნდოვანი, შესაბამისად განმცხადებელს გაეგზავნა წერილი ინფორმაციის დაზუსტების შესახებ, თუმცა განმეორებითი განცხადება არ წარმოუდგენია. 11 განცხადებაზე მიმდინარეობს წარმოება.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სამინისტროში განცხადება არ შემოსულა.

5 შემთხვევაში, განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად ინფორმაცია ნაწილობრივად გაიცა იმ საფუძვლით, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი არ იყო დაცული სამინისტროში. ასევე შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებაზე პასუხის ნაწილობრივად გაცემისას, პასუხისმგებელი პირი ეყრდნობოდა საქართველოს კონსტიტუციას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი განმცხადებელს ერთ შემთხვევაში ეთქვა იმ საფუძვლით, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია არ მუშავდება იმ სახით, როგორი ფორმითაც იყო მოთხოვნილი ინფორმაცია. მეორე შემთხვევაში, მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავება მიმდინარეობდა სამინისტროში და მოთხოვნის დროისთვის არ იყო დასრულებული. შესაბამისად სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას გაეცა ინფორმაცია მოთხოვნის შესაბამისად.

2 შემთხვევაში, უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, განმცხადებელმა ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა სამინისტროში. ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება, სადაც მოწვეული იყო საჩივრის წარმდგენი. შედეგად, 1 ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა, ხოლო მეორე საჩივარის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა თავად საჩივრის ავტორმა.

7 შემთხვევაში, სხვა უწყებაში განცხადების გადაგზავნის საფუძველს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადება არ ექვემდებარებოდა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში განხილვას. შედეგად, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე, განცხადებები განსახილველად გადაეგზავნა შესაბამის სახელმწიფო უწყებებს. აღნიშნულის შესახებ კი ინფორმაცია მიეწოდათ განმცხადებლებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროში შემოსული განცხადებები ხშირ შემთხვევაში შეიცავდა ერთდროულად რამდენიმე მოთხოვნას.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ წარმოადგენს კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას. შესაბამისად, სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილებები არ არის მიღებული საანგარიშო პერიოდში.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები, მათთვის დებულებით დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას და შენახვას. უწყებაში პერსონალური მონაცემები დაცულია, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (edoc) ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები, რომლებსაც განმცხადებელი უთითებს მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავების და შეგროვების უფლებამოსილება. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისთვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას.

სამინისტროს მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვებასთან, დამუშავებასთან, შენახვასა და გადაცემასთან დაკავშირებული წარმოება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

2019 წლის საანგარიშო პერიოდში სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

პატივისცემით

ლევან დავითაშვილი

მინისტრი